

დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოსაზრებებსა და წინადადებებს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (country code Top Level Domain – ccTLD) მართვისა და ადმინისტრირების რეგულირების თაობაზე.

მიზანი - იმ ძირითადი პრინციპებისა და წესების შემუშავება და მიღება, რომლებიც, საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და დაინტერესებული პირების მოსაზრებებზე დაყრდნობით, ხელს შეუწყობს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვისა და ადმინისტრირების საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე - აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის განვითარებასა და მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაცვას.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი კომენტარები/პასუხები ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე დაგვეხმარება ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვისა და ადმინისტრირების პოტენციურ რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხის საუკეთესოდ გადაწყვეტაში.

წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ აღნიშნული დოკუმენტის განხილვაში მიღებული მონაწილეობისათვის.

დოკუმენტის გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 27 აპრილი.

საკონსულტაციო პერიოდი: 6 (ექვსი) კვირა.

დოკუმენტის შინაარსი:

გამოყენებული აბრევიატურები:	3
ტერმინთა განმარტება.....	4
მთავრობის/შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ჩართულობა თავისი ccTLD-ს მართვასა და ადმინისტრირებაში	5
ccTLD ადმინისტრატორი და რეგისტრატორები; დომენური სახელების რეგისტრაცია, რეკომენდებული მოდელი, გავრცელებული პრაქტიკა, ქართული მოდელი	9
ccTLD ადმინისტრატორი; ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N733/2002 და N874/2004 რეგულაციები; გავრცელებული პრაქტიკა; ქართული მოდელი.....	11
კომისიის წინადადებები.....	12
კომისიის მიერ შემოთავაზებული წინადადებების უპირატესობანი.....	13
კითხვები:.....	14
პასუხების გამოგზავნის წესი	14
საკონსულტაციო პროცესი	15
შემდგომი ნაბიჯები.....	15

გამოყენებული აბრევიატურები:

- **ccNSO** - country code Name Supporting Organisation - დომენურ სახელში ქვეყნის კოდის ხელშემწყობი ორგანიზაცია
- **ccTLD** – country code Top Level Domain - ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში
- **DNS** – Domain Name System - დომენურ სახელთა სისტემა
- **GAC** – Governmental Advisory Committee - სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტი
- **IANA** – Internet Assigned Names Authority - ინტერნეტის მინიჭებული სახელების ორგანო
- **ICANN** – Internet Corporation for Assigned Names and Numbers - მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაცია
- **ITU** – International Telecommunications Union - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანება
- **TLD** – Top Level Domain - ზედა დონის დომენი

ტერმინთა განმარტება¹

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის:

ადმინისტრატორი (მენეჯერი, რეესტრი ოპერატორი) - პირი, რომელიც პასუხისმგებელია ccTLD მართვასა და ადმინისტრირებაზე;

დელეგირება - პროცედურა, რომელსაც ახორციელებს ICANN/IANA, ccTLD-ს დომენურ სახელთა სისტემის (DNS) „ROOT“ ზონაში შესატანად, შესაბამისი ოფიციალური მოთხოვნის მიღებისთანავე;

დომენურ სახელთა სისტემის (DNS) „ROOT“ ზონა - ზედა დონის დომენურ სახელთა სისტემის ზონა ინტერნეტის დომენურ სახელთა სისტემის იერარქიულ სახელთა სივრცეში;

ზედა დონის დომენური სახელი - დომენური სახელის ბოლო სეგმენტი, შედგება ასოებისგან და უშუალოდ მოჰყვება ინტერნეტ-მისამართში არსებულ ბოლო წერტილს. ზედა დონის დომენური სახელი არის ორგანო: ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში და ზოგადი ტიპის ზედა დონის დომენი;

ინტერნეტის მინიჭებული ნომრების ორგანო (Internet Assigned Numbers Authority – IANA) – ICANN-ის შვილობილი ორგანიზაცია და მისი ნაწილი. IANA-ს უფლებამოსილებაში შედის IP მისამართების, დომენებისა და ინტერნეტის სხვა პარამეტრების მართვა. ზედა და მეორე დონის დომენური სახელებისა და მისამართების მინიჭება. IANA ფლობს და მართავს დომენური სახელებისა და მათი ადმინისტრატორების მონაცემთა ბაზას;

მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაცია (Internet Corporation for Assigned Names and Numbers – ICANN) - არაკომერციული კორპორაცია, რომელიც პასუხისმგებელია ინტერნეტის გლობალურ კოორდინაციაზე;

რეგისტრატორი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეესტრ ოპერატორთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე ახორციელებს დომენური სახელების რეგისტრაციას რეგისტრანტებისათვის;

რეგისტრანტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სურს და არეგისტრირებს დომენურ სახელებს; რეგისტრანტი აფორმებს ხელშეკრულებას რეგისტრატორთან, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მოთხოვნილი დომენური სახელის რეგისტრაცია;

¹ ტერმინთა განმარტება მოცემულია: ა) მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის სახელმძღვანელო დოკუმენტის - “Principles and Guidelines for the Delegation and Administration of Country Code Top Level Domains” (<https://archive.icann.org/en/committees/gac/gac-cctld-principles.htm>, მუხლი 3), მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის გლოსარიუმისა (<https://www.icann.org/resources/pages/glossary-2014-02-03-en#i> და <http://whois.icann.org/en/domain-name-registration-process>) და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N733/2002 რეგულაციის “On the implementation of the .eu Top Level Domain” ტერმინთა განმარტების (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2002R0733:20081211:EN:HTML>, მუხლი 2) მიხედვით.

რეგულაციები - პროცედურა, რომელსაც ახორციელებს ICANN/IANA, ccTLD-ს არსებული ადმინისტრატორის შესაცვლელად;

სამთავრობო საკონსულტაციო კომიტეტი (Governmental Advisory Committee – GAC) – ICANN-ის საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს და უზრუნველყოფს საკონსულტაციო წინადადებებს კორპორაციის საქმიანობასთან მიმართებით, წვერი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო GAC-ის სამთავრობო წევრია 2005 წლიდან, კომისიის წარმომადგენლობით;

ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში (country code Top Level Domain - ccTLD) - ზედა დონის დომენური სახელი გლობალურ დომენურ სახელთა სისტემაში. იგი მინიჭებული აქვს ქვეყანას, როგორც ქვეყანასთან ასოცირებული ორნიშნა კოდი, ISO 3166-1² საერთაშორისო სტანდარტის („ქვეყნის კოდები“) ორნიშნიანი სისტემის შესაბამისად.

მთავრობის/შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ჩართულობა თავისი ccTLD-ს მართვასა და ადმინისტრირებაში

გლობალური საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით კი, ინტერნეტის, განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული და გლობალური ეკონომიკის განვითარების კუთხით. ზედა დონის დომენური სახელები (TLD) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. ქვეყანასთან ასოცირებულმა ზედა დონის დომენებმა (ccTLD), მზარდი წილი მოიპოვა დომენური სახელების ბაზარზე და უმრავლესობა მას უყურებს, როგორც თავისი ქვეყნის ან გეოპოლიტიკური ტერიტორიის ინტერნეტის განსაკუთრებულ ნაწილს.

ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენი, იგივე ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში (ccTLD), მინიჭებული აქვს ქვეყნებს საერთაშორისო კორპორაციის - მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (Internet Corporation for Assigned Names and Numbers, ICANN) მიერ. თითოეულ ქვეყანას/ტერიტორიას/გეოგრაფიულ მონაკვეთს მინიჭებული აქვს ერთი უნიკალური ccTLD, რომელსაც მართვა-ადმინისტრირებას უწევს ICANN/IANA-ს მიერ დელეგირებული ადმინისტრატორი. თითოეულ ccTLD-ს ჰყავს ერთი ადმინისტრატორი.


საზოგადოდ, ურთიერთიერობას ccTLD ადმინისტრატორსა და ქვეყნის მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

² **ISO 3166-1** არის [ISO 3166](http://www.iso.org/iso/country_codes) სტანდარტის ნაწილი. სტანდარტი გამოქვეყნებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Organisation for Standardization – ISO) მიერ და განსაზღვრავს კოდებს ქვეყნების, ტერიტორიებისა და გეოგრაფიული ზონებისათვის. სტანდარტის ოფიციალური სახელწოდებაა: „ქვეყნებისა და მათი გეოგრაფიული დანაყოფების კოდები - ნაწილი 1: ქვეყნების კოდები“ (http://www.iso.org/iso/country_codes).

ჯერ კიდევ 2003 წელს, საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტზე (WSIS) მიღებულ სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში (ccTLD) სახელმწიფო რესურსს წარმოადგენს და ამიტომ სახელმწიფოები მოწოდებულნი არიან, სათანადოდ უხელმძღვანელონ თავისი ccTLD-ების მართვას. „უხელმძღვანელონ“ – იგულისხმება: იურთიერთონ შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტზე დაყრდნობით³.

2004 წელს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებამ (ITU) ჩაატარა გამოკითხვა წევრ ქვეყნებს შორის იმის თაობაზე, თუ როგორი იყო მათთან ურთიერთობა სახელმწიფოსა და ccTLD ადმინისტრატორებს შორის. კითხვები შეეხებოდა: სახელმწიფოს ჩართულობას თავისი ccTLD-ს მართვაში, სახელმწიფოებისა და ccTLD-ს ურთიერთობის სტატუსს, სახელმწიფოს ჩართულობას ინტერნეტის მმართველობაში, ccTLD-ს სტრუქტურას, რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, დავების გადაწყვეტასა და სხვა⁴.

შედეგად, გამოკითხულთაგან წევრი ქვეყნების 43.28%-ში სახელმწიფო ორგანოები მაქსიმალურ კონტროლს ახორციელებენ თავისი ccTLD-ზე; 29.85%-ში ნაბიჯები იდგმება ოფიციალური კონტროლის განსახორციელებლად; 19.40%-ში ურთიერთობა მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოსა და მის ccTLD-ს შორის ჩამოყალიბების პროცესშია და მხოლოდ 7.46%-ში არ იგეგმება რაიმეს შეცვლა. აღნიშნული ინფორმაცია, თვალსაჩინოებისათვის, გრაფიკის სახითაც წარმოვადგინეთ (გრაფიკი 1):



გრაფიკი 1;

წყარო: „მთავრობა და ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში“, საყოველთაო კითხვარი, პროფ. მიხაილ გეისტი⁵; IANA-ს მონაცემთა ბაზა⁶

³ http://www.itu.int/dms_pub/itu-s/md/03/wsis/doc/S03-WSIS-DOC-0005!!PDF-E.pdf, მუხლი 13, პუნქტი ii., გვ. 7.

⁴ <https://www.itu.int/osg/spu/forum/intgov04/contributions/governmentsandcctldsfeb04.pdf>

⁵ <https://www.itu.int/osg/spu/forum/intgov04/contributions/governmentsandcctldsfeb04.pdf>, გვ. 5

⁶ <http://www.iana.org/domains/root/db>

2005 წელს მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციამ (ICANN) მიიღო და დაამტკიცა სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (GAC) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტი - "სახელმძღვანელო პრინციპები ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის დელეგირებისა და ადმინისტრირების შესახებ", რომელიც ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავ, რომ ICANN-ის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც შედგება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სამთავრობო წარმომადგენლისაგან, უფლებამოსილია, განსაზღვროს ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენების (ccTLD) მართვის მკაფიო და დაბალანსებული სისტემა, რომელიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული თითოეული ქვეყნის მიერ იმ ადგილობრივი პოლიტიკური მიზნების შემუშავებისას, რომელიც დაკავშირებულია ccTLD-ს განვითარებასთან⁸.

აღნიშნული დოკუმენტით, GAC-ი იძლევა რეკომენდაციას, რომ ქვეყნის მთავრობამ/შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ სამართლებრივად მოაწესრიგოს ურთიერთობა თავის ccTLD ადმინისტრატორთან, უფრო აქტიურად ჩაერიოს თავისი ccTLD-ის მართვაში და დააფუძნოს ეს ურთიერთობა სამართლის ნორმებზე და/ან კონტრაქტებზე, მემორანდუმებზე, სხვა წერილობით დოკუმენტებზე... ამავე დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მთავრობა ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანო რეკომენდებულია, უზრუნველყოს, რომ თავისი ccTLD-ს მართვა და ადმინისტრირება ხორციელდებოდეს საზოგადოების ინტერესების, ამავდროულად, შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების გათვალისწინებით.

2015 წელს ICANN-ის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტმა, ITU-ს მსგავსად, თავის წევრებს შორის (155 წევრი), ჩაატარა გამოკითხვა თემაზე - „ურთიერთობა სახელმწიფოსა და მის ccTLD მენეჯერს შორის“⁹. კითხვარის მიზანს წარმოადგენდა წევრებს შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

შედეგად, გამოკითხულთაგან მხოლოდ 7 ქვეყანაში არ არის დამყარებული ოფიციალური, სამართლებრივ დოკუმენტზე დამყარებული ურთიერთობა მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოსა და მის ccTLD ადმინისტრატორს შორის. ამ 7 ქვეყნიდან 3 (მათ შორის - საქართველო) არის მიებაში და სწავლობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, თუ როგორ, რა ფორმით დაამყარონ ოფიციალური ურთიერთობა თავის ccTLD ადმინისტრატორებთან.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ რამდენიმე ევროპული ქვეყნის მაგალითი¹⁰:

1. **გაერთიანებული სამეფო (.uk)** - ადმინისტრატორი: Nominet UK; 2010 წლის ციფრული ეკონომიკური კანონით (ნაწილი 19), ბრიტანეთის მთავრობას, მარეგულირებელი ორგანოს, Ofcom-ის მეშვეობით, აქვს უფლებამოსილება, ჩაერიოს .uk მართვაში რიგი დარღვევების

⁷ <https://archive.icann.org/en/committees/gac/gac-cctld-principles.htm>

⁸ [http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000Y1014\(02\):EN:HTML](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000Y1014(02):EN:HTML)

⁹ <https://gacweb.icann.org/display/gacmembers/Governments+relationship+with+ccTLDs>

¹⁰ მაგალითები ეყრდნობა ITU-სა და GAC-ის კითხვარებს და IANA-ს მონაცემთა ბაზას.

შემთხვევაში. Ofcom-ი, აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად, რაიმე სახის რეგულაციის მიღებამდე, ვალდებულია, გამართოს საჯარო კონსულტაციები;

2. **ესპანეთი (.es)** - ადმინისტრატორი: Red.es - სახელმწიფო ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს ესპანეთის ინდუსტრიის, ენერგეტიკისა და ტურიზმის სამინისტროს ქოლგის ქვეშ. ურთიერთობა სახელმწიფოსა და ადმინისტრატორს შორის რეგულირდება კანონმდებლობით - ესპანეთის კანონი 34/2002 საინფორმაციო საზოგადოებისა და ელექტრონული კომერციის შესახებ და 9/2014, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ;
3. **ესტონეთი (.ee)** - ადმინისტრატორი: „Estonian Internet Foundation“; რეგულირდება 2014 წლის 6 იანვრის ნორმატიული აქტით - „.EE დომენის რეგულირება“ - ზედამხედველთა საბჭოს მიერ. ზედამხედველთა საბჭოში შედიან: ესტონეთის ეკონომიკური ურთიერთობებისა და კომუნიკაციების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რეფორმების პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ზედამხედველთა საბჭოს მართავს მმართველთა საბჭო;
4. **იტალია (it)** - ადმინისტრატორი: IIT – CNR; რეგულირდება კანონმდებლობით;
5. **პორტუგალია (pt)** - ადმინისტრატორი: Associação DNS.PT; რეგულირდება პორტუგალიის კანონით ინტერნეტ-დომენური სახელების შესახებ;
6. **საფრანგეთი (.fr)** - ადმინისტრატორი - AFNIC (NIC France); რეგულირდება კონტრაქტის საფუძველზე; ადმინისტრატორი ინიშნება სახელმწიფოს მიერ 5 წლის ვადით;
7. **ფინეთი (.fi)** - 2003 წლამდე .FI ზედა დონის დომენს მართავდა ფინეთის ტელეკომუნიკაციების სამინისტრო; 2003 წელს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომლის საფუძველზეც .FI დომენის მართვისა და ასევე, რეგისტრაციის უფლება მიენიჭა ფინეთის მარეგულირებელ ორგანოს, **FICORA**-ს. ამასვე ადასტურებს ფინეთის 2006 წლის 8 აგვისტოს კანონი „.FI დომენური სახელის მახასიათებლებისა და ტექნიკური კონფიგურაციის შესახებ“;
8. **შვეიცარია (.ch)** - ადმინისტრატორი: SWITCH Foundation; რეგულირდება შვეიცარიის ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს, OFCOM-ის, მიერ, კანონმდებლობის საფუძველზე.

საქართველოს შესახებ:

საქართველოს .ge დომენი მიენიჭა 1992 წლის 2 დეკემბერს. მისი ადმინისტრატორი, პირადი ინიციატივისა და მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე, გახდა შპს „სანეტი“. ინტერნეტის ადრეულ წლებში ადმინისტრატორის უფლებამოსილება ენიჭებოდა იმ პირს, რომელიც პირველად წარადგენდა ICANN/IANA-ში ოფიციალურ მოთხოვნას ccTLD-ს ადმინისტრირების თაობაზე და წარადგენდა საამისოდ შესაბამის, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (ე.წ. „first come first served“ პრინციპის საფუძველზე). უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი პირები იყვნენ უნივერსიტეტების კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტები. ამჟამად, იმის გამო, რომ ინტერნეტის ეროვნულ რესურსს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა როგორც გლობალურ,

ასევე - ეროვნულ დონეზე, ადმინისტრატორის შერჩევისა და წარდგენის წესი რამდენადმე შეიცვალა და აუცილებლად საჭიროებს შესაბამისი ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერას.

2006 წლიდან **.ge** დომენის ადმინისტრატორის ფუნქციას ახორციელებს „კავკასუს ონლაინი“, რომელიც შეიქმნა 3 კომპანიის (მათ შორის, „სანეტის“) შერწყმის შედეგად. ამავდროულად, „კავკასუს ონლაინი“ გახდა **.ge** დომენის ექსკლუზიური რეგისტრატორიც.


საქართველოში ccTLD-ს მართვა არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ccTLD ადმინისტრატორი დამოუკიდებლად ახორციელებს დომენური სახელების მართვა-ადმინისტრირებას და რეგისტრაციასაც. შესაბამისად, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციებისა, საქართველოში არ ხორციელდება თანამშრომლობა მთავრობას/სახელმწიფო ორგანოსა და ccTLD ადმინისტრატორს შორის.

ccTLD ადმინისტრატორი და რეგისტრატორები; დომენური სახელების რეგისტრაცია, რეკომენდებული მოდელი, გავრცელებული პრაქტიკა, ქართული მოდელი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 22 აპრილის N733/2002 რეგულაციის¹¹ შესაბამისად, ასევე, ევროკომისიის 2003 წლის 21 მაისის 2003/375/EC გადაწყვეტილებით¹², რომელიც ეყრდნობა ზემოთ მოყვანილ რეგულაციას, ევროკომისიამ შეარჩია და დანიშნა რეესტრი ოპერატორი, რომელსაც მიანიჭა **.EU** ზედა დონის დომენის ორგანიზების, მართვისა და ადმინისტრირების უფლებამოსილება. რაც შეეხება დომენური სახელების რეგისტრაციას **.EU** ზონაში, ეს ევროკომისიის მიერ დანიშნული ადმინისტრატორის უფლებამოსილებაში არ შედის. ამ ქმედებას ახორციელებენ შესაბამისი რეგისტრატორები, რომლებიც აკრედიტებულნი არიან **.EU** ზედა დონის დომენის ადმინისტრატორის მიერ. ევროკომისია ამ შემთხვევაში მიჰყვება მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის რეკომენდაციას, რომელიც გვთავაზობს დომენური სახელების რეგისტრაციის ამგვარ მოდელს:

¹¹ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2002R0733:20081211:EN:HTML> , მუხლი 3, პუნქტი 1, „B“;

¹² <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32003D0375:EN:HTML> ;



გრაფიკი 2;

წყარო: მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაცია¹³

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, რეგისტრანტი, სასურველი დომენური სახელის დარეგისტრირებას ახორციელებს არა უშუალოდ ადმინისტრატორთან, არამედ რეგისტრატორებისა და არსებობის შემთხვევაში - გადამყიდველების მეშვეობით. ICANN-თან თანამშრომლობენ ადმინისტრატორები¹⁴. ასეთ მოდელს ეწოდება ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელი.

ევროპის მაგალთს რომ გადავხედოთ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის - ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი, უნგრეთი, შვედეთი, ჰოლანდია - მიჰყვება ევროკომისიის რეგულაციასა და ICANN-ის რეკომენდაციას და ირჩევს ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელს. ანუ მოდელს, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციასა და რეგისტრაციას ახორციელებენ სხვადასხვა სუბიექტები. ამავე მოდელს ირჩევს შვეიცარიაც. კერძოდ: 2003 წელს, ახალი სამართლებრივი გარემოს საფუძველზე, .ch-ის ოპერაციული მართვის უფლებამოსილება, რეგისტრატორის უფლებამოსილების ჩათვლით, 4 წლის ვადით, ტენდერის გარეშე, გადაეცა SWITCH Foundation-ს (არაკომერციული ორგანო), რომელიც .ch-ს მმართველი იყო 1987 წლიდან. 2007 წელს კონტრაქტი განახლდა 8 წლის ვადით, 2015 წლამდე. ამავდროულად, შვეიცარიის Ofcom-მა გამართა საჯარო კონსულტაციები, რომლის საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილება, გაეყოს SWITCH Foundation-ის ფუნქციები, როგორც რეგისტრატორისა და ადმინისტრატორის; SWITCH Foundation-ს დარჩება რეგისტრატორის ფუნქცია, ხოლო ადმინისტრატორი შეირჩევა ტენდერის საფუძველზე. იმის გამო, რომ ტენდერის მომზადება ვერ მოესწრო 2015 წლისათვის, SWITCH Foundation-ს კიდევ 2 წლით გაუგრძელდა კონტრაქტი.

¹³ <https://whois.icann.org/en/domain-name-registration-process>;

¹⁴ ადმინისტრატორები ICANN-თან თანამშრომლობენ მისი ერთ-ერთი კომიტეტის მეშვეობით, რომლის სახელია: „ccNSO - country code Names Supporting Organisation” - დომენურ სახელებში ქვეყნის კოდის ხელშემწყობი ორგანიზაცია. ეს არის კომიტეტი, რომელიც შეიქმნა ccTLD ადმინისტრატორებისთვის თავად ადმინისტრატორების მიერვე - <http://ccnso.icann.org>.

ტენდერის ჩატარება დაგეგმილია 2017 წლისათვის. შესაბამისად, შევიცარიაც ირჩევს ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელს.

რაც შეეხება ქართულ მოდელს, ccTLD ადმინისტრირებას, ისევე, როგორც დომენური სახელების ccTLD ზონაში რეგისტრაციას, დღეს-დღეობით, ახორციელებს ერთადერთი კომპანია.

რატომ არის რეკომენდებული ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელის შერჩევა: ICANN-ის რეკომენდაციით, ccTLD/gTLD ადმინისტრატორებთან მიმართებით, უნდა აიკრძალოს ვერტიკალური ინტეგრაცია და თანამფლობელობა; ხელი უნდა შეეწყოს ყველა რეგისტრატორის ერთნაირ პირობებში ჩაყენებას, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ბაზრის უკეთ განვითარების მიზნით.

ccTLD ადმინისტრატორი; ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N733/2002 და N874/2004 რეგულაციები; გავრცელებული პრაქტიკა; ქართული მოდელი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N733/2002 რეგულაციით, რომელიც ეხება .EU ზედა დონის დომენის მართვის პრინციპებს, რეესტრი ოპერატორი უნდა იყოს „არაკომერციული სუბიექტი, წევრი ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბებული, უნდა ფლობდეს სარეგისტრაციო ოფისს, ცენტრალური ადმინისტრაციისა და სამუშაო ადგილს ევროკავშირის ტერიტორიაზე“¹⁵. აღნიშნულს ადასტურებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N874/2004 რეგულაცია¹⁶. ეს რეგულაცია ცხადყოფს იმასაც, რომ რეესტრი ოპერატორი უნდა ფუნქციონირებდეს და მომსახურების მიწოდებას ახორციელებდეს საოპერაციო ხარჯების დაფარვისა და გონივრული ფასების დაწესების პრინციპით¹⁷.


საგულისხმოა, რომ მსგავსი კატეგორიული მოთხოვნა არ აქვს მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციასა და მის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტს. იგი ეყრდნობა პრინციპს, რომ აღნიშნული საკითხი ქვეყნების მიერ ადგილობრივად უნდა გადაწყდეს.

გავრცელებული პრაქტიკით, ccTLD ადმინისტრატორთა 40.9% არაკომერციული ორგანიზაციაა, 19.7% კომერციული, 19.7% - აკადემიები/ინსტიტუტები და 13.6% საჯარო დაწესებულებები:

¹⁵ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2002R0733:20081211:EN:HTML> , მუხლი 3, პუნქტი 2;

¹⁶ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32004R0874:EN:HTML> , პრეამბულა (1);

¹⁷ აქ წარმოდგენილი ევრორეკომენდაციები ჩვენი ქვეყნისათვის არ არის სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. აღნიშნული სავალდებულოა ევროკავშირის წევრი და სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისათვის. თუმცა, ვინაიდან ჩვენ არჩეული გვაქვს ევროპის გზა და ევროკავშირისკენ მივისწრაფით, ვახორციელებთ ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროპულ კანონმდებლობასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ჩვენს საქმიანობაში;



გრაფიკი 3;

წყარო: „მთავრობა და ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში“, საყოველთაო კითხვარი, პროფ. მიხეილ გეისტი¹⁸ და IANA-ს მონაცემთა ბაზა¹⁹

რაც შეეხება ქართულ მოდელს, ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენური სახელის ადმინისტრატორი, რომელიც ამავდროულად რეგისტრატორის საქმიანობასაც აწარმოებს, არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, კომერციული ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია შემოსავლებზე; ამასთანავე, აღნიშნული ორგანიზაცია როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული მასშტაბით, სატელეკომუნიკაციო ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშეა; სხვა სერვისებთან ერთად, იგი ახორციელებს ინტერნეტის მიწოდებასაც არამარტო საქართველოში.

კომისიის წინადადებები

გამომდინარე ზემოთქმულიდან, კომისიის, როგორც ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მარეგულირებელი ორგანოსა და მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის წევრის, წინაშე დგას გამოწვევა, შესაბამისობაში მოიყვანოს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (ccTLD) მართვა-ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებთან და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან. კერძოდ, კომისიის წინადადებებია:

- შევიდეს დამატებები ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, როგორც ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსა და საქართველოს წარმომადგენელს

¹⁸ <https://www.itu.int/osg/spu/forum/intgov04/contributions/governmentsandccTLDsfeb04.pdf>, გვ. 6

¹⁹ <http://www.iana.org/domains/root/db>

მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში, მიენიჭება ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (ccTLD) (და ასევე, ზედა დონის დომენში ქვეყნის ეროვნული კოდის) მართვა/ადმინისტრირების რეგულირების უფლებამოსილება; აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ კომისია იქნება უფლებამოსილი, შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტზე²⁰ დაყრდნობით, მონიტორინგი გაუწიოს .ge/.გე-თი დაბოლოებული დომენური სახელების მართვა/ადმინისტრირების წესებისა და პროცედურების დაცვას მათი ადმინისტრატორების მიერ; მიმართოს ICANN/IANA-ს .ge/.გე ადმინისტრატორის უფლებამოსილების რე-დელეგირების მოთხოვნით არსებული ადმინისტრატორის გაკოტრების, ლიკვიდაციის, ვალის რესტრუქტურისა და .ge/.გე ადმინისტრირებაზე ნებაყოფლობით უარის თქმის ან სხვა, ზემოხსენებულ სამართლებრივ დოკუმენტში²¹ გაწერილი პირობების დენადი ხასიათით დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში; განიხილოს დავები რეგისტრატორებსა და ადმინისტრატორს შორის და მოთხოვნის შემთხვევაში - მომხმარებელსა და რეგისტრატორს შორის და სხვა.

- კომისიამ, ორივე ადმინისტრატორისა (.ge , .გე) და შესაბამისი დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მოამზადოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მემორანდუმი ან ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც განისაზღვრება კომისიისა და ორივე (.ge; .გე) ადმინისტრატორის უფლებები, ვალდებულებები და ურთიერთთანამშრომლობა.

კომისიის მიერ შემოთავაზებული წინადადებების უპირატესობანი

კომისიის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელებით, ზედა დონის დომენში ჩვენი ქვეყნის კოდის მართვა და ადმინისტრირება შესაბამისობაში მოვა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციებთან²², მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციისა და მისი სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციებთან²³ და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. შემოთავაზებული წინადადებების განხორციელებით წახალისდება კონკურენცია ამ ბაზარზე და ხელი შეეწყობა მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვას.

²⁰ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მემორანდუმი ან ხელშეკრულება, რომელიც მომზადდება კომისიის მიერ, ორივე ადმინისტრატორისა და შესაბამისი დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით;

²¹ იხ. სქოლიო 20;

²² [Council resolution](#) of 3 October 2000 on the organisation and management of the Internet **32000Y1014(02)**; [Regulation No 733/2002](#) of the European Parliament and of the Council of 22 April 2002 on the implementation of the .eu Top level Domain **32002R0733** Amended by **32008R1137** Consolidated text **02002R0733-20081211**; [Commission decision 2003/375/EC](#) of 21 May 2003 on the designation of the .eu Top Level Domain Registry **32003D0375**; [Commission regulation No 874/2004](#) of 28 April 2004 laying down public policy rules concerning the implementation and functions of the .eu Top Level Domain and the principles governing registration **32004R0874** Amended by **32005R1654**, **32007R1255** and **32009R0560** Consolidated text **02004R0874-20090630**.

²³ www.icann.org; www.gac.icann.org.

კითხვები:

1. ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ საქართველოში უნდა დაინერგოს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-აღმინისტრირების რეგულირება, რათა აღნიშნული ჰარმონიზაციაში მოვიდეს სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან? გამომდინარე აქედან, ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ აღნიშნული რეგულირება უნდა განახორციელოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, როგორც ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ და საქართველოს წარმომადგენელმა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში?
2. კითხვა „1“-ზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს შესაბამისი დამატებები აღნიშნულის განსახორციელებლად? ამავდროულად, ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ მან, ორივე ადმინისტრატორისა (.ge , -გე) და შესაბამისი დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უნდა მოამზადოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მემორანდუმი ან ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც განისაზღვრება კომისიისა და ორივე ადმინისტრატორის (.ge, -გე) უფლებები, ვალდებულებები და ურთიერთთანამშრომლობა?
3. მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, რომ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოშიც უნდა დაინერგოს ccTLD ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელი?
4. მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N733/2002 და N874/2004 რეგულაციების გათვალისწინებითა და შვეიცარიის მაგალითის მსგავსად, ccTLD ადმინისტრატორის შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს კონკურსის გზით?

პასუხების გამოგზავნის წესი

აღნიშნული საკითხის საუკეთესოდ გადასაწყვეტად კომისიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკონსულტაციო პროცესში დაინტერესებული პირებისა და საზოგადოების ჩართულობას.

გამოქვეყნებულ დოკუმენტთან და მასში დასმულ კითხვებთან დაკავშირებით კომენტარები/პასუხები უნდა გამოიგზავნოს **ელექტრონული ფორმით**, კომისიის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: post@gncc.ge , გამომგზავნის სახელის, გვარისა და საკონტაქტო მონაცემების მითითებით.

გამოგზავნილი კომენტარები/პასუხები უნდა იყოს დასაბუთებული სათანადო არგუმენტებით და ერთვოდეს შესაბამისი მაგალითები, რეკომენდაციები ან სხვა დოკუმენტები.

საკონსულტაციო პროცესი

საკონსულტაციო პროცესი მოიცავს გამოქვეყნების დღიდან 6 (ექვს) კვირას. კომენტარების/პასუხების შემოსვლის საბოლოო ვადაა: **2016 წლის 8 ივნისი, საღამოს 6 საათი.**

ითვალისწინებს რა საზოგადოების ინტერესებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომისია, საკონსულტაციო პერიოდის განმავლობაში, თავის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოაქვეყნებს შემოსულ კომენტარებს/პასუხებს.

საკონსულტაციო პერიოდის დასრულებისთანავე კომისია მოამზადებს ანგარიშს შემოსული კომენტარების/პასუხების საფუძველზე და გამოაქვეყნებს მას თავის ვებ-გვერდზე: www.gncc.ge

ამავდროულად, მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია გამართავს შეხვედრებს საზოგადოების წარმომადგენლებთან საკითხის უკეთ განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

შემდგომი ნაბიჯები

კომისია, საერთაშორისო რეგულაციებსა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, ქართული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.